ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №55

12 მარტი 2012 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოში მოქალაქეთა მიღების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 აგვისტოს N3 დადგენილების 117-ე მუხლის შესაბამისად:

ვბრძანებ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (საკრებულოსა და გამგეობაში) მოქალაქეთა (საქართველოს მოქალაქეთა და უცხოელთა) მიღების, განცხადებების და საჩივრების განხილვის პროცესის სრულყოფისა და მუნიციპალიტეტის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) მოქალაქეთა მიღება მოხდეს მხოლოდ ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის მეშვეობით;

ბ) მოქალაქეთა მიღების დროს განიხილება ზეპირი, წერილობითი განცხადებები და საჩივრები, მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან და საჯარო მოსამსახურეებთან მოქალაქეთა მიღების ჩაწერა უზრუნველყოს საკრებულოსა და გამგეობის შესაბამისმა მთავარმა სპეციალისტებმა დადგენილი წესის მიხედვით, რომლებიც ვალდებულია აწარმოოს მოქალაქეთა მიღების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში. ჟურნალში შედის მონაცემები მოქალაქის ვინაობის, მიღების თარიღის, განხილული საკითხისა და მიღების შედეგის თაობაზე. ჟურნალში სააღრიცხვო ჩანაწერს ხელს აწერს მიმღები თანამდებობის პირი;

დ) მოქალაქის განცხადებაში (საჩივარში) დასმული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აპარატის უფროსის და/ან ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის შუამდგომლობით, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირი აწარმოებს მოქალაქის მიღებას:

ე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (საკრებულოს და გამგეობის 1-ელ, მე-2 და მე-3 სართულზე) მოქალაქეთა გადაადგილება მოხდეს მოქალაქეთა მიღებაზე პასუხისმგებელი მოსამსახურეს (მოსამსახურეების) მეშვეობით;

ვ) მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მიღება არ წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უქმე და დასვენების დღეებში;

ზ) მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

2. ამ ბრძანების 1-ლი პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, ფრაქციების სხდომებისა და საჯარო განხილვების ჩატარების დღეს.

3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს მერაბ ხუნდაძეს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*